ვიქტორია ჯუღელი

სპეციალურ კოლექციათა
(იშვიათი წიგნების, ხელნაწერების, არქივების, ანტიკვარული მასალების)
უსაფრთხოების დაცვა

თბილისი, 19 ივნისი, 2020

ბიბლიოთეკების არსებობა ათასწლეულებს ითვლის. ძველი ბიბლიოთეკები სამეფო კარზე იქმნებოდა და მათში ინახებოდა სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვანი დოკუმენტები თიხის ფირფიტების, გრაგნილების, ხელნაწერების თუ სხვა სახით. ასეთ ბიბლიოთეკებს, ჩვეულებრივ, სამეფო კარის ჯარისკაცები იცავდნენ. უძველესი ბიბლიოთეკებია:

- **შუმერის ქ. ურუქის ბიბლიოთეკა** (დაახლ. ძვ.წ. 3400), რომლის შესახებაც არსებობს ცნობები, თუმცა თავად ბიბლიოთეკა არ აღმოჩენილა.
- **შუმერის ქ. ნიპურის ბიბლიოთეკა** (დაახლ. ძვ.წ. 2500 წ.), სადაც ერთდროულად ფუნქციონირებდა ბიბლიოთეკა და სკოლა. მასში დაცული იყო რელიგიური დანიშნულების, მათემატიკური, ასტრონომიული, სამედიცინო, ისტორიული, ლინგვისტური, მითოლოგიური ხასიათის ტექსტები, მათ შორის „გილგამეშიანი“, წარღვნის შესახებ არსებული უადრესი ტექსტი.



- **სირიის ქ. ებლას ბიბლიოთეკა** (დაახლ. ძვ.წ. 2500 წ.), სადაც აღმოჩნდა 1800 თიხის ფირფიტა სრულად და 4700 ფრაგმ., ამასთან ერთ ოთახში - ფირფიტები ეკონომიკური შინაარსის ტექსტებით, მეორეში კი რიტუალური, ლიტერატურული და პედაგოგიური ტექსტები ახალგაზრდა გადამწერთა განსწავლისათვის.
- **ხათუსას, ხეთების დედაქალაქის ბიბლიოთეკა** (ძვ.წ. 1900-1190), სამეფო ბიბლიოთეკის არქივი, რომელიც მოიცავდა ოფიციალურ მიმოწერას, ხელშეკრულებებს, კანონებს, საკულტო ცერემონიის პროცედურებს, მისანთა წინასწარმეტყველებებს, აღმოსავლეთის ლიტერატურას, მთლიანობაში, 30.000 ტექსტს, დაწერილს თიხის ფირფიტებზე, მათ შორის, ხეთების მეფე მუვათალისსა და ეგვიპტის ფარაონ რამზეს II-ს შორის (ძვ.წ. 1274) კადეშის ცნობილი ომის ამსახველ თიხის ფირფიტას.
- **ეგვიპტის ფარაონ, რამზეს II-ის ბიბლიოთეკა** (ძვ.წ. 1279-1213), განთავსებული იყო მისი დასაკრძალავი ნაგებობის, აბუ სიმბელის შუაგულში და შეიცავდა 10.000 პაპირუსს, რომლებიც მის საქმეებს განადიდებდნენ.





- **აშურბანიპალის, ასირიის მეფის** (ძვ.წ. 669-631 წწ.) **ქ. ნინევის ბიბლიოთეკა**, რომელშიც გაერთიანებული იყო მეფე სინაქერიბის (ძვ.წ. 705-681 წწ.) და თავად აშურბანიპალის სამეფო კოლექციები. ბიბლიოთეკა მოიცავდა 30.000-მდე თიხის ფირფიტას, რომლებიც ინახებოდა ხის ყუთებში, ლერწმის კალათებში, თიხის თაროებზე. *აშურბანიპალის ბიბლიოთეკაში არსებობდა გარკვეული სახის კატალოგიზება: თიხის ფირფიტებზე დასმული იყო ბეჭედი („imprint“), რომელზეც დატანილი იყო თემის სახელწოდება და ტექსტები დალაგებული იყო სისტემატიზებულად, ზომისა და ფორმის მიხედვით, იმის გათვალისწინებით, რომ ოთხკუთხა ფირფიტები ძირითადად შეიცავდნენ ცნობებს ფინანსური ტრანსაქციების შესახებ, მრგვალი ფირფიტები კი სასოფლო-სამეურნეო ცნობებს.* ტექსტის შინაარსის განსაზღვრა შესაძლებელი იყო ფირფიტის სათაურით, მოკლე აღწერილობით, ან სხვა ინფორმაციით, რის მითითებასაც გადამწერი ჩათვლიდა საჭიროდ. სხვადასხვა ოთახებში იყო განთავსებული ადმინისტრაციული დოკუმენტები, წერილები, ისტორიული და ლიტერატურული, სამართლის, ასტრონომიული, გეოგრაფიული, სამედიცინო, რელიგიური რიტუალებისა და ლოცვების შემცველი ტექსტები, წინასწარმეტყველებები ვრცელი განმარტებებით და სხვა ტექსტები. *აღსანიშნავია, რომ ბიბლიოთეკაში მოქმედებდა „ჩამოწერის წესი“: როდესაც ბიბლიოთეკას ემატებოდა ახალი ფირფიტები, ძველსა და ნაკლებად საჭიროს ყრიდნენ.* 612 წელს ქ. ნინევი გაანადგურეს ბაბილონელებმა. თიხის ფირფიტები გამოიწვა ხანძრის დროს, რამაც ხელი შეუწყო მის შენარჩუნებას.

- **ნებუქადნესარ II-ის** (ძვ.წ. 605-562 წწ.), **ბაბილონის მეფის ბიბლიოთეკა**.
- **პისისტრატოსის, ათენის ტირანოსის, პირველი საჯარო ბიბლიოთეკა** (ძვ.წ. VI ს.). პისისტრატოსმა, ათენის პირველმა ტირანმა, შექმნა მსოფლიოს პირველი საჯარო ბიბლიოთეკა.
- **ჩინეთის კულტურაში უადრესი, ე.წ. ლაოძის** (ძვ.წ. VI-IV სს.) **ბიბლიოთეკა**.
- **პერსეპოლისის ბიბლიოთეკა** (ძვ.წ. IV ს.), რომლის ნაწილიც ალექსანდრე მაკედონელის მეომრებმა ეგვიპტეში წაიღეს, დანარჩენი კი დაწვეს.
- **ქ. პერგამონის ბიბლიოთეკაში** (ძვ.წ. II - ახ.წ. III-IV სს.) დაცული იყო 200.000-მდე გრაგნილი. პლუტარქეს თანახმად, აქედან მარკუს ანტონიუსმა წაიღო ფონდის დიდი ნაწილი და კეისრის ომში დაზიანებული ალექსანდრიის ბიბლიოთეკისათვის 200.000 ერთეული გადასცა კლეოპატრას (*ანტონიუსი*, 58.5).





- **ალექსანდრიის ბიბლიოთეკა ეგვიპტეში** (ძვ.წ. 306-ახ.წ. 642 წ.). შეიცავდა დაახლ. 700.000 ერთეულს. მისი ნაწილი დაიწვა კეისრის დროს (ძვ.წ. 48 წ.), ნაწილი დაარბია თეოფილე ალექსანდრიელმა (ახ.წ. IV ს.). არსებობა შეწყვიტა არაბთა მიერ ეგვიპტის დაპყრობის შემდეგ. *პირველი სახელდებით ცნობილი ბიბლიოთეკარი იყო ზენოდოტე ეფესელი (ძვ.წ. III ს.), რომელმაც წიგნები ჟანრებისა და ანბანის მიხედვით განათავსა და ბოლოში მიამაგრა პატარა იარლიყი თხზულების ავტორის, სათაურის და ჟანრის მითითებით. ამავე ბიბლიოთეკისთვის პოეტმა და მეცნიერმა, კალიმაქოს კირენელმა (ძვ.წ. 310-240) დაწერა ე.წ. "პინაკები" (დაფები), რომლებიც 120 გრაგნილს მოიცავდა და პირველ კატალოგად ითვლება, კალიმაქოსი კი პირველ, სახელდებით ცნობილ ბიბლიოთეკარად, რომელმაც ბიბლიოთეკა დაალაგა ავტორთა და თემების მიხედვით (ძვ.წ. 245 წ.). თითოეულ წიგნს ერთვოდა ტექსტის პირველი სტრიქონი, მოკლე შინაარსი და ცნობები ავტორზე:* დაბადების ადგილი, მამის სახელი, მასწავლებლების სახელები, მოკლე ბიოგრაფია და ნაშრომთა ნუსხა.
- **არისტოტელეს ქ. ათენის ბიბლიოთეკა** (ძვ.წ. 334 წელს დაფუძნდა) შეიცავდა დაახლ. 10.000 პაპირუსს, რომელთა შორისაც იყო თეოფრატესა და არისტოტელეს შრომები, ფილოსოფიის ისტორიები. როცა რომის მხედართმთავარი, ლუციუს კორნელიუს სულა თავს დაესხა ათენს (ძვ.წ. 86 წ.), წიგნების ნაწილი რომში გადაიტანა, რასაც არისტოტელეს ნაშრომთა მეხუთედი ემსხვერპლა - სამუდამოდ დაიკარგა.



წიგნების ქურდობა და ქურდობის მოტივები

სამეფო ბიბლიოთეკები განთავსებული იყო მეფეთა სასახლეებში და მათ სასახლის დაცვა იცავდა. სამწუხაროდ, გადმოცემები ასეთ ბიბლიოთეკებში უსაფრთხოების დაცვისა და წიგნების ქურდობის შესახებ ძალიან მწირია. მიუხედავად ამისა, ჩვენამდე მოაღწია ქურდობის რამდენიმე ამბავმა. ასე მაგალითად, არსებობს ცნობა, რომ რამზეს II-ის (ძვ.წ. 1279-1213) ბიბლიოთეკიდან ქურდებმა პაპირუსები მოიპარეს. ასევე, ცნობილი ფაქტია, რომ ათენში ჩამოვარდნილი შიმშილობის დროს, პტოლემეუს III-მ (ძვ.წ. 280-222 წწ.) აიძულა ათენელები, ეთხოვებინათ მისთვის ესქილეს, სოფოკლესა და ევრიპიდეს პიესების დედნები გადასაწერად, მათთვის დახმარების, უზარმაზარი თანხის, 15 ტალანტი ვერცხლის სანაცვლოდ, მაგრამ აღარ დაუბრუნა ისინი უკან, არამედ გაუგზავნა მხოლოდ მათი ლამაზად გადაწერილი ასლები.

თანამედროვე წიგნის ქურდებს შორის არიან ისეთი ცნობილი პირები, როგორიცაა ჯორჯ ვაშინგტონი, ინგლისელი პოეტი, კრიტიკოსი და მწერალი, სემუელ ჯონსონი (1709-1784), ფრანგი მწერალი და პოეტი, ჟან ჟენე (1910-1986). ცნობილი ქურდი იყო ფილოსოფიის დოქტორი, გერმანელი ხრისტიან ფრიდრიხ მატეი, რომელსაც უპატიოსნესი ადამიანის რეპუტაცია ჰქონდა, სანამ ნიკოლაი კარამზინმა 1789 წელს დრეზდენის ბიბლიოთეკაში ევრიპიდეს ტრაგედიის ის ხელნაწერი არ ნახა, რომელზეც თავად მუშაობდა მოსკოვში. მატეის რუსეთის ბიბლიოთეკებიდან სულ 60 პალეოგრაფიული იშვიათობა ჰქონდა მოპარული და გაყიდული. წიგნების ქურდობით გახდა ცნობილი ოქსფორდის თრინითი-კოლეჯის კურსდამთავრებული, ჯეიმს ჰოლიველ-ფილიპსი (1820-1889 წწ.), ანტიკვართა და სამეფო საზოგადოებების წევრი, რომელიც ოქსფორდის უნივერსიტეტიდან იპარავდა უძვირფასეს ხელნაწერებს და სოთბის აუქციონზე ყიდდა (1839).

წიგნის ქურდობის რამდენიმე ფორმა

1. *წიგნის მოპარვა*; წყაროებში აღწერილია წიგნების მოპარვის მრავალი სხვადასხვა ხერხი. საბჭოთა კავშირის დროს რაიონული ბიბლიოთეკებიდან წიგნის ქურდობის ერთ-ერთი ფორმა იყო წიგნების ფანჯრიდან გადაყრა, გარეთ გასვლა და მათი აღება. ყველაზე რომანტიული ქურდობა კი დასტურდება ლონდონის ბიბლიოთეკაში. აქ 2002 წელს დაიჭირეს ქურდი, რომელიც ამ ბიბლიოთეკაში შედიოდა საიდუმლო შესასვლელით, რომლის შესახებაც არქეოლოგიურ ჟურნალში წაიკითხა, და ქურდობის ადგილას მუდამ ვარდს ტოვებდა. ქართული სინამდვილიდან შეგვიძლია გავიხსენოთ 2008 წელს თბილისის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკიდან მოპარული 19 დასახელების წიგნი (სულ 56 ტომი), მათ შორის 1852-1853 წლებში გამოცემული სამხედრო ლექსიკონები, რომლებიც ბიბლიოთეკის დარაჯის მეშვეობით მოხვდა მძარცველთა ხელში.

2. *წიგნის შეცვლა*:

- *ერთის ნაცვლად მეორე წიგნის დაბრუნება*. სწორედ ასე მოიქცა ქურდი, რომელმაც თბილისის ეროვნული (საჯარო) ბიბლიოთეკიდან 2016 წელს ორი განსაკუთრებული ისტორიული მნიშვნელობის, XVIII და XIX სს-ის ორი უნიკალური წიგნი მიისაკუთრა, რის შემდეგაც ბიბლიოთეკაში სხვა წიგნები დატოვა.

- ***ასლის დაბრუნება*** - პტოლემეუს III-მ (ძვ.წ. 280-222 წწ.) აიძულა ათენელები, ეთხოვებინათ მისთვის ესქილეს, სოფოკლესა და ევრიპიდეს პიესების დედნები გადასაწერად, მათთვის დახმარების, უზარმაზარი თანხის, 15 ტალანტი ვერცხლის სანაცვლოდ, მაგრამ აღარ დაუბრუნა ისინი უკან, არამედ დაუბრუნა მხოლოდ ლამაზად გადაწერილი ასლები.

- *წიგნის ყდის შეცვლა*: წიგნის შეცვლის გავრცელებული ხერხი იყო დასაბრუნებელი წიგნის ყდის დაწებება ნაკლებად მნიშვნელოვან გამოცემაზე და ამ უკანასკნელის დაბრუნება.

3. წიგნის მოტყუებით გატანა. 1990-იან წლებში მსოფლიოს მასშტაბით „სახელი გაითქვა“ ამერიკელმა სტივენ ბლუმბერგმა, რომელმაც „სახელმწიფოს შეთქმულებისაგან იშვიათ წიგნთა გადარჩენის“ მიზნით 286 უნივერსიტეტიდან, მაღაზიიდან და ბიბლიოთეკიდან 23.600 წიგნის შემცველი კოლექცია შეაგროვა. წიგნების ხელში ჩასაგდებად იგი არ ერიდებოდა ვინაობის ყალბი საბუთების დამზადებას, ბიბლიოთეკის ბეჭდების გაყალბებას, დამლაგებელთა მოქრთამვას და წიგნების მაღაზიებში ლიფტის შახტებითა თუ სავენტილაციო ლიუკებით შეღწევას.

4. წიგნის დაუბრუნებლობა. ზოგ შემთხვევაში ასეთი ქურდები მთელ ბიბლიოთეკებს იქმნიდნენ.

5. წიგნის დაზიანება. ხშირად ვანდალები წიგნებს ამახინჯებენ: წიგნებზე წერენ, ჭრიან მინიატურებს ან ხევენ ფურცლებს. ვატიკანის ბიბლიოთეკას უზარმაზარი ზიანი მიაყენა პროფესორმა რაპიზარმა, რომელმაც უძველესი ხელნაწერებიდან მინიატურები ამოჭრა და მათი გაყიდვა იტალიაში სცადა. თუმცა დასტურდება ერთი შემთხვევა, როდესაც ხელნაწერებიდან ამოღებულმა ფურცლებმა დადებითი როლი შეასრულეს. კერძოდ, ათონის მონასტრის ბიბლიოთეკებში მუშაობისას, დიდმა ბიზანტიელმა მეცნიერმა, არქიმანდრიტმა პორფირი უსპენსკიმ, ბერძნული ხელნაწერებიდან აღსაწერად ამოიღო ავტოგრაფული ფურცლები, რის შემდეგაც ათონის წმ. პავლეს მონასტერი დაიწვა და მისი ბიბლიოთეკის კოლექცია ახლა ცნობილია მხოლოდ უსპენსკის მიერ აღებული და საგულდაგულოდ აღწერილი ფურცლების ჩანაწერების მეშვეობით. წიგნებზე წარწერების გაკეთებისაგან წიგნადი ფონდის დასაცავად ბევრმა ბიბლიოთეკამ შემოიღო ხელთათმანებისა და ფანქრების გამოყენება სპეციალურ კოლექციებზე მუშაობისას.

6. წიგნის გატაცება. ასეთი რამ უფრო ხშირად, წიგნების ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანისას და ომების დროს ხდება. როდესაც რომის მხედართმთავარი, ლუციუს კორნელიუს სულა თავს დაესხა ათენს (ძვ.წ. 86 წ.), ათენის არისტოტელეს ბიბლიოთეკიდან მან გაიტაცა წიგნების ნაწილი და რომში გადაიტანა. ამ გადატანას ემსხვერპლა არისტოტელეს შრომების ნაწილი. ისინი სამუდამოდ დაიკარგა.

წიგნის ქურდობის მოტივაცია

წიგნის ქურდობას ჩვეულებრივ ორი ძირითადი მიზეზი აქვს: *წიგნის სიყვარული* და *ფულის სიყვარული*, თუმცა თავად წიგნის ქურდები უფრო მრავალ ქვესახეობადაც იყოფა. ესენია:

1. ***ექსტრემალები*** - მძაფრ შეგრძნებათა მაძიებლები;
2. ***მოთამაშეები***, რომლებიც წიგნის ქურდობას აღიქვამენ, როგორც გართობას;
3. ***ნაძლევის დამდებნი***, რომლებიც წიგნებს ნაძლევის გამო იპარავენ;
4. ***ბაქიები***, რომლებიც თავიანთ ნადავლს სოციალურ ქსელებში ავრცელებენ;
5. ***ექსპერიმენტატორები***, რომლებიც ინტერესის გამო სწავლობენ უსაფრთხოების სისტემათა გვერდის ავლის შესაძლებლობებს.
6. ***სისტემასთან მებრძოლები*** - იდეური ქურდები, რომლებიც მიუღებლად თვლიან წაკითხვისათვის ფულის გადახდას და მოითხოვენ უფასო წვდომას ნებისმიერ პუბლიკაციაზე.
7. ***კრეატიული ქურდები***, რომლებიც წიგნის ქურდობას მიიჩნევენ ერთგვარ შემოქმედებით აქტად, თვითგამოხატვის ფორმად. ისინი არიან ები ჰოფმანის მიმდევრები, რომლის ესსეც "მოიპარე ეს წიგნი" (1971) გახდა მათი მოქმედების სახელმძღვანელო და მოპარული იქნა აშშ-ს თითქმის ყველა ბიბლიოთეკიდან.
8. ***შეყვარებულები*** – ამის მაგალითს იძლევა დოსტოევსკის „ღარიბი ხალხი“, რომელშიც ვარინკა იწყებს წიგნების მოპარვას პოკროვსკის პირადი ბიბლიოთეკიდან, რათა მისი ბიბლიოთეკის ყველა წიგნი წაიკითხოს და იმ ადამიანთან მეგობრობის ღირსი გახდეს, ვის მიმართაც არ არის გულგრილი.

ქურდობისაგან ბიბლიოთეკების დაცვა

1. *ფიზიკური დაცვა*. ანტიკურ ხანებში სამეფო ბიბლიოთეკები განთავსებული იყო მეფეთა სასახლეებში და მათ მეფის ჯარისკაცები იცავდნენ. შემდეგ, ბიბლიოთეკების შესასვლელებს, უფრო ხშირად, ბიბლიოთეკის მცველები ან თავად ბიბლიოთეკარები იცავდნენ.

2. *შესვლის შეზღუდვა ან აკრძალვა*. ანტიკურ ხანებში ბიბლიოთეკა ხშირად წარმოადგენდა საიდუმლო ოთახს, რომლითაც სარგებლობა მხოლოდ საგანგებო დაშვებით შეიძლებოდა. ეს იყო რელიგიური ან მაგიური მნიშვნელობის, ან სამედიცინო ტექსტების საცავი ტაძრებში, რომლებშიც მხოლოდ განდობილები დაიშვებოდნენ. მაგიურ ტექსტებთან დაშვების აკრძალვის მიზეზი იყო ამ ტექსტების/შელოცვების ბოროტად გამოყენების შიში. რაც შეეხება ტაძრებს, რომლებსაც თავიანთი ექიმებით ჰქონდათ სახელი განთქმული, მათ სხვებისთვის ცოდნის გაზიარება არ სურდათ სტატუსის დაკარგვის შიშის გამო.

3. *ფიცი*; ანტიკურ ხანებში ქურდობისაგან დაცვის ერთ-ერთი ხერხი იყო დაფიცება. ამის მაგალითია მარმარილოს ქვა, რომელიც იმპერატორ ტრაიანეს მეფობის დროს (53-117 წწ.), დაახლ. 100 წელს, ტიტუს ფლავიუს პანტენუსმა დადო ათენის აგორაზე აგებულ თავის საჯარო ბიბლიოთეკაში. როგორც შინაარსიდან ჩანს, ეს წარწერა ბიბლიოთეკართა დასაფიცებლად იყო განკუთვნილი. მსგავსი შინაარსის წარწერა დასტურდება როდოსის ბიბლიოთეკაშიც. არ არის გამორიცხული, რომ ამგვარ ფიცს დებდნენ ბიბლიოთეკის ფონდით მოსარგებლე პირებიც.

„წიგნს არ გავიტანთ/მოვიპარავთ,

რადგან დავიფიცეთ ეს.

ღია იქნება პირველიდან

ექვს საათამდე“.

4. წყევლა. ფიცის შინაარსის წარწერების გარდა, ფართოდ გამოიყენებოდა წყევლაც, როგორც ხელისშემშლელი იარაღი წიგნის ქურდობის საწინააღმდეგოდ, რადგან ხშირად იგი მოპარვისაგან წიგნების დაცვის ერთადერთ ხერხს წარმოადგენდა, მით უფრო, რომ ხალხს სჯეროდა მისი. წიგნების დაცვის მიზნით გამოყენებულ ყველაზე ადრინდელ წყევლას წარმოადგენს აშურბანიპალის წყევლა, რომელიც დატანილი იყო მის ნინევის ბიბლიოთეკაში შეგროვებულ ყველა ან თითქმის ყველა თიხის ფირფიტაზე. ეს წყევლა იყო შემდეგნაირი:

„მე დავაწერინე თიხის ფირფიტებზე გადამწერთა შრომის კეთილშობილი ნაყოფები, რომლებიც არ იცოდა არცერთმა ჩემამდე მცხოვრებ მეფეთაგან, ნაბუს სიბრძნესთან ერთად, რამდენადაც იგი წერილობით არსებობს. მე დავალაგე ისინი კლასებად, მე გადავამოწმე და განვათავსე ისინი ჩემს სასახლეში, რათა მე, ხელმწიფეს, რომელმაც შეიცნო აშურის ნათელი, ღმერთების [მიერ ხელდასხმულ] მეფეს, შემეძლოს მათი კითხვა. ვინც ამ ფირფიტას მოაშორებს ან მას თავის სახელს წააწერს ჩემი სახელის გვერდით, დაე აშურმა და ბელითმა რისხვითა და მძვინვარებით დაამხონ იგი, და გაანადგურონ ამქვეყნად მისი სახელი და მისი შთამომავლობა“.

წყევლა ეხებოდა წიგნის თხოვებასაც. ერთ-ერთი წყევლის თანახმად, წიგნის თხოვება იკრძალებოდა:

„ის, ვინც ანდობს [ამ წიგნს სხვათა] ხელებს, დაე ყველა ღმერთმა, ვინც ბაბილონში მოიძებნება, დაწყევლონ იგი“.



სხვა წყევლა კი მოითხოვდა ნათხოვარი წიგნის იმავე დღეს დაბრუნებას უკან:

„ვინც ანუს, ენლილისა და ეას მოშიშია,

დააბრუნოს [ეს წიგნი] მესაკუთრის სახლში იმავე დღეს“.

წყევლა ხშირი იყო შუა საუკუნეებშიც.

მაგალითად, XIII ს-ის ერთ-ერთ ხელნაწერს ასეთი წარწერა ჰქონდა:

„ის, ვინც ამას მოიპარავს, ყველაზე საშინელი სიკვდილით მოკვდეს,

მოიხარშოს ჯოჯოხეთის ქვაბში, დაემართოს ბნედა,

დაიწვას ციებ-ცხელებით, ოთხად გაჭრან და ჩამოახრჩონ“.

5. ჯაჭვები. შუა საუკუნეებში წიგნების დაცვის ყველაზე ცნობილი ხერხი იყო წიგნების ყდების ჯაჭვებით მიმაგრება წიგნების თაროებსა და მაგიდებზე, და მათთვის წმინდა წყლის პკურება. ასეთ წიგნებს ეწოდებოდათ “Libri catenati” („მიჯაჭვული წიგნები“). მიჯაჭვული იყო ყველაზე მოთხოვნადი წიგნები. მსოფლიოს ყველაზე დიდი მიჯაჭვული ბიბლიოთეკა, რომელმაც დღემდე მოაღწია, არის ჰერიფორდის კათედრალი (Hereford Cathedral, დაფუძნდა 1611 წელს) ინგლისში, სადაც ყველა წიგნი ახლაც დამაგრებულია ძველი, ორიგინალი ჯაჭვებით.

მიჯაჭვული წიგნები ინახება ფლორენციის მედიჩების ბიბლიოთეკაშიც (*Biblioteca Medicea Laurenziana*).



6. გალია. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის ქურდობისაგან დაცვის საინტერესო ხერხი ჰქონდა დუბლინის მარშის ბიბლიოთეკას (Marsh's Library) XVIII ს-ის დასაწყისში. აქ მკითხველს სვამდნენ გალიაში და უშვებდნენ მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი დაასრულებდა კითხვას და ბიბლიოთეკარს ანიშნებდა, რომ ის გამოეშვა.

7. ექსლიბრისი. საკუთარი ბიბლიოთეკის ქურდობისაგან დასაცავად წიგნებს ექსლიბრისის სახით ორიგინალური წარწერა დააკრა ბიბლიოფილმა ნიკოლაი პოზდნიაკოვმა. ამ ექსლიბრისებს ეწერა: „ეს წიგნი მოპარეს ნ.ი. პოზდნიაკოვს", რის გამოც ბუკინისტები არ იძენდნენ მათ და პოზდნიაკოვის შთამომავლებს მისი გარდაცვალების შემდეგაც ძალიან გაუჭირდათ ამ წიგნების გაყიდვა.

8. გარე ტანსაცმლით და დიდი ჩანთებით შესვლის აკრძალვა. პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკიდან წიგნები თავისი ფართო ტანსაცმლით გაჰქონდა გერმანელ ღვთისმეტყველების დოქტორს, ალოიზ პიხლერს, რომელმაც 3 წლის განმავლობაში (1869-1871 წწ.) რუსეთის ბიბლიოთეკებიდან 4.500 წიგნი მოიპარა. იგი ამხილა ბიბლიოგრაფმა სობოლშჩიკოვმა. მან შვეიცარს სთხოვა, ძვირფასი სტუმრის გარე ტანსაცმელი, მაკინტოში, გაეწმინდა, ხოლო გაწმენდისას მასში აღმოჩნდა 1686 წლის გამოცემა, „წმ. ამბროსის თხზულებები".

9. ვინაობის გასაჯაროება წიგნების დაუბრუნებლობის წინააღმდეგ. XVIII-XIX სს-ში საჯარო ბიბლიოთეკებში პროფილაქტიკური ზომები იქნა გამოყენებული, კერძოდ, მკითხველებს აფრთხილებდნენ, რომ ვინც ბიბლიოთეკიდან გატანილ წიგნებს მითითებულ ვადებში არ დააბრუნებდა უკან, მათი სახელები გაზეთებში დაიბეჭდებოდა. ეს მეთოდი შეიმუშავა გოეთემ (1749-1832), როდესაც ვეიმარის ჰერცოგინიას, ანა ამალიას ბიბლიოთეკისთვის (1761 წ.) დოკუმენტაციას ამზადებდა.

10. გირაო. ზოგმა ბიბლიოთეკამ შემოიღო წიგნების გაცემა გირაოს დატოვებით, თუმცა, ამ ხერხმა ვერ მოაგვარა წიგნების დაუბრუნებლობის პრობლემა.

11. წიგნადი ფონდის გამოყენების სამუდამო აკრძალვა. სანკტ-პეტერბურგის საიმპერატორო საჯარო ბიბლიოთეკამ სამუდამოდ დახურა თავისი კარი მათთვის, ვინც თუნდაც ერთი წიგნი არ დააბრუნა უკან.

12. ელექტრომაგნიტური დაცვა. ახლა წიგნების ქურდობისაგან დასაცავად გამოიყენება რადიოსიხშირული (“радиочастотная”) ეტიკეტი წიგნის ყდაზე, და ელექტრომაგნიტური - ყდის შიდა ნაწილში, ასევე, რადიოსიხშირული გასასვლელი კარიბჭეები და სათვალთვალო კამერები. მაგრამ დასაცავ სისტემებთან ერთად უფრო მეტად იხვეწება ქურდობის ტექნოლოგიებიც. ქურდებს გააქვთ წიგნები sweeping-ის რეჟიმში (ანუ ქურდობა ელვის სისწრაფით) და საგანგებო ჩანთებით, ე.წ. „booster bags“. ეს არის ჩანთები, რომლებშიც ჩაგებულია ფოლგა (კილიტა) და მათში საგანგებო სენსორები ვერ აღწევენ. ზოგჯერ ფოლგას ტანსაცმელსაც აკერებენ შიგნიდან.

სპეციალურ კოლექციათა უსაფრთხოების გაიდლაინი

1. *შესავალი*. თანამედროვე ეპოქაში წიგნების უსაფრთხოებას კომპლექსური სახე აქვს. ახლა, როდესაც ბიბლიოთეკების კატალოგებთან წვდომა ინტერნეტით გახდა შესაძლებელი, სპეც. კოლექციების უსაფრთხოება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან საზოგადოების ინფორმირებულობამ მათი მნიშვნელოვანებისა და ფასეულობის შესახებ შესაძლოა გაზარდოს ქურდობის მცდელობათა რისკიც. კოლექციებზე პასუხისმგებელი პირები ყურადღებით უნდა იყვნენ კოლექციებისთვის წიგნების შესყიდვისას, რათა მათ შესაძენად მოპარული საქონელი არ შესთავაზონ. უსაფრთხოების გაიდლაინები დიდ ყურადღებას უთმობენ შემდეგ პუნქტებს:

2. *ბიბლიოთეკის უსაფრთხოების ოფიცრის დანიშვნა*. სპეც. კოლექციებში მომუშავე თანამშრომლები ყველაფერს უნდა აკეთებდნენ კოლექციათა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ამისათვის დაწესებულებებმა სრულად უნდა გააკონტროლონ ამ მასალების შენახვა და გამოყენება, და სათანადო ყურადღებით მოეპყრან უსაფრთხოების რისკებს მათი გადაადგილებისას. მიუხედავად იმისა, რომ კოლექციების უსაფრთხოება უნდა წარმოადგენდეს თითოეული თანამშრომლის ზრუნვის საგანს, დაწესებულებებმა უნდა დანიშნონ *ბიბლ. უსაფრთხოების ერთი ან რამდენიმე ოფიცერი, რომელსაც ექნება უფლებამოსილება, განახორციელოს ორგანიზაციის უსაფრთხოების პროგრამა*. ასეთი ოფიცრის დანიშვნა და უსაფრთხოების წერილობითი პოლიტიკის შემუშავება ხელს შეუწყობს პერსონალის ინფორმირებას სამართლებრივი და პროცედურული პასუხისმგებლობების შესახებ უსაფრთხოების ზომების გამოყენებისას. *ოფიცერი უნდა ფლობდეს საფუძვლიან ცოდნას საცავებში, განსაკუთრებით სპეც. კოლექციებში, უსაფრთხოების ყველა საჭიროების შესახებ. უსაფრთხოების ოფიცერი არის უსაფრთხოების პროგრამის დაგეგმვისა და განხორციელების ძირითადი პასუხისმგებლობის მქონე პირი*. პროგრამა უნდა შეიცავდეს კოლექციების ფიზიკური განლაგების მიმოხილვას და დაწესებულების თანამშრომელთა მომზადებას. ოფიცერმა უნდა ჩამოაყალიბოს და შეინარჩუნოს კოლეგებთან აქტიური სამუშაო ურთიერთობა და მოიძიოს ისეთი პერსონალის რჩევები და დახმარება, როგორიცაა კორპორატიული მრჩევლები, სიცოცხლის უსაფრთხოების ოფიცრები და სამართალდამცავი სააგენტოებისა და სადაზღვევო კომპანიების კონსულტანტები.

- ზოგ საცავში, უსაფრთხოების ოფიცერი და სპეც. კოლექციის ადმინისტრატორი შეიძლება ერთი ადამიანი იყოს.
- ოფიცრის ფუნქციები შეიძლება დაევალოს რამდენიმე პირს და არა მხოლოდ ერთ თანამშრომელს.

3. ***უსაფრთხოების პოლიტიკა***. ბიბლიოთეკის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა წერილობით უნდა შეიმუშავონ პოლიტიკა კოლექციების უსაფრთხოების შესახებ, ადმინისტრატორებთან და პერსონალთან, იურიდიულ ორგანოებთან და სხვა მცოდნე პირებთან კონსულტაციების შემდეგ. *ეს პოლიტიკა უნდა შეიცავდეს სტანდარტულ სამოქმედო პროცედურას ქურდობის ან უსაფრთხოების სხვა პრობლემების დროს. ამასთანავე, დაწესებულებამ პერიოდულად უნდა მიმოიხილოს და განაახლოს საკუთარი პოლიტიკა, რათა უზრუნველყოს, რომ ინსტიტუციური საჭიროებები ადეკვატურად იქნას მოგვარებული.* ბიბლიოთეკის უსაფრთხოების ოფიცერი უნდა იყოს ჩართული უსაფრთხოების ზოგადი ზომების შემუშავებასა და განხორციელებაში, რადგან ამან შესაძლოა გავლენა იქონიოს სპეციალური კოლექციების მასალების უსაფრთხოებაზე. ბიბლიოთეკის უსაფრთხოების ოფიცერი უნდა იყოს ჩართული საგანგებო სიტუაციების მართვაშიც.

- დიდ ინსტიტუტებში შესაძლოა საჭირო გახდეს უსაფრთხოების დაგეგმვის ჯგუფის შეკრება ბიბლიოთეკის უსაფრთხოების ოფიცრის დასახმარებლად პრობლემური სფეროების დადგენაში, ასევე, მისთვის რეკომენდაციების მიცემა. ეს ჯგუფი, რომელიც შედგება ბიბლიოთეკის უსაფრთხოების ოფიცრისა და სხვა შესაბამისი პერსონალისაგან, პასუხისმგებელი იქნება უსაფრთხოების გეგმის შემუშავებაზე, რათა თავიდან აიცილოს ქურდობა და მსგავსი საქციელის აღმოჩენისთანავე გაატაროს მოქმედების დეტალური გეგმა. გეგმა არ უნდა წარმოადგენდეს საჯარო დოკუმენტს (მაგალითად, ის არ უნდა განთავსდეს ვებგვერდზე), არამედ ხელმისაწვდომი უნდა იყოს მხოლოდ შესაბამისი პერსონალისათვის.
- ინსტიტუციებმა, რომლებსაც არ გააჩნიათ შესაბამისი პერსონალის რესურსი, შეიძლება დაიქირავონ უსაფრთხოების კონსულტანტი, რომელიც დაეხმარება მათ უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავებასა და კოლექციისთვის შესაძლო საფრთხეების დადგენაში. დაწესებულებებმა საფუძვლიანად უნდა განიხილოს უსაფრთხოების საკითხებში კონსულტანტის ინფორმაცია და მითითებები.

4. ***მოწყობილობები***. *სპეც. კოლექციების განყოფილებას უნდა ჰქონდეს რაც შეიძლება ნაკლები მისასვლელი წერტილი. სახანძრო და სათადარიგო გასასვლელები უნდა კონტროლდებოდეს და არ უნდა იქნას გამოყენებული რეგულარული დაშვებისათვის. ობიექტის შიგნით, მკითხველს წვდომა უნდა ჰქონდეს მხოლოდ საზოგადოებრივ ადგილებზე, და არა სამუშაო სივრცეში.* მკვლევარებს სამუშაოდ უნდა ჰქონდეთ განკუთვნილი ცალკე ადგილი, ასევე სათავსები („ლოკერები“) პირადი ნივთებისა და ტანსაცმლის შესანახად. უსაფრთხო საკითხავი ოთახი ან საკითხავად განკუთვნილი სხვა ადგილი, სადაც მკვლევარები დაკვირვების ქვეშ იქნებიან, უნდა იყოს ერთადერთი სივრცე, სადაც შეიძლება გამოყენებული იქნას მასალა სპეციალური კოლექციიდან. პერსონალის წევრმა ან დაცვის თანამშრომლებმა მკვლევარების პირადი ნივთები უნდა შეამოწმონ როგორც უსაფრთხო სივრცეში შესვლამდე, ასევე, გასვლისას.

გასაღებები ან კოდიანი პლასტიკური ბარათები განსაკუთრებულად მოწყვლადი საგნებია, ამიტომ, დაწესებულებას უნდა ჰქონდეს გასაღებების შემოწმების სისტემა, რომელიც გაკონტროლდება. უსაფრთხო სივრცეთა გასაღებები პერსონალს უნდა გადაეცეს მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში, ხოლო ის გასაღებები, რომლებიც ყველა საკეტს ერგება, ე.წ. „master keys“, ყოველმხრივ დაცული უნდა იყოს არასანქცირებული წვდომისგან. სეიფების ან უსაფრთხო კოლექციების სხვა საცავებში შესასვლელი კომბინაციები პერსონალის მხოლოდ შეზღუდულმა რაოდენობამ უნდა იცოდეს და უნდა შეიცვალოს, როდესაც თანამშრომელი, რომელსაც წვდომა ჰქონდა ამ საცავთან, დატოვებს სამსახურს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სპეც. კოლექციებთან საგანგებო საკეტების, ე.წ. „proprietary keyways“ დაყენებას (ეს არის უნიკალური გასაღებები და საკეტები, რომელთაც მხოლოდ ერთი მწარმოებელი ამზადებს). უნდა დამონტაჟდეს უსაფრთხოების კამერები, რომლებიც მოიცავენ სამკითხველო დარბაზს და მასთან მისასვლელ ყველა მონაკვეთს, რომელთაც უსაფრთხოების პროფესიონალები მიიჩნევენ მიზანშეწონილად. ყველა ჩანაწერი უნდა შენარჩუნდეს რაც შეიძლება დიდხანს, სასურველია სამუდამოდ.

- დაწესებულებებში, სადაც დაცვის დაქირავება შეუძლებელია, მცველის ფუნქციას თანამშრომელი ასრულებს.
- პროფილაქტიკისთვის, რეგულარულად უნდა იცვლებოდეს საცავთა გასაღებები და საკეტები.
- როდესაც დაწესებულება გეგმავს მოდერნიზაციას, სივრცის განახლებას ან სპეც. კოლექციებისთვის ახალი ობიექტის აშენებას, ბიბლიოთეკის უსაფრთხოების ოფიცერმა და სპეც. კოლექციების ადმინისტრატორმა უნდა უზრუნველყონ, რომ დიზაინსა და დაგეგმვაში გათვალისწინებული იქნას უსაფრთხოების ყველა მოთხოვნა.

5. ***პერსონალი***. *ნდობის ატმოსფერო და ზრუნვა სპეციალურ კოლექციებზე ალბათ საუკეთესო გარანტიაა თანამშრომლების მხრიდან ქურდობის წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, საგულდაგულო და მიუკერძოებელი ზედამხედველობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.* პერსონალი დაკვირვებით უნდა შეირჩეს. *პერსონალის ფრთხილად მართვა სრულიად აუცილებელია, ვინაიდან უკმაყოფილო თანამშრომელმა შეიძლება შური იძიოს მენეჯმენტზე კოლექციების ქურდობის, განადგურების ან შეგნებული დაზიანების გზით.* ყურადღება უნდა მიექცეს იმ თანამშრომლებსაც („bonding employees“), რომლებიც მუშაობენ სპეც. კოლექციებში. უსაფრთხოებაში პერსონალის მომზადება ბიბლიოთეკის უსაფრთხოების ოფიცრის უმთავრესი პრიორიტეტი უნდა იყოს. ამგვარმა ტრენინგმა უნდა უზრუნველყოს, რომ თანამშრომლებმა გააცნობიერონ თავიანთი სამართლებრივი და პროცედურული პასუხისმგებლობები უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. პერსონალმა არ უნდა შეიტანოს პირადი ნივთები საცავებში, ხოლო მათი გასვლისას ეს ნივთები უნდა შემოწმდეს უსაფრთხოების თანამშრომელთა მიერ.

- ბიბლიოთეკის უსაფრთხოების ოფიცერმა და სპეციალური კოლექციების ადმინისტრატორებმა უნდა უზრუნველყონ, რომ პერსონალი, მათ შორის, ახალი თანამშრომლები, დროულად გაეცნოს შესაბამის გაიდლაინებსა და თავიანთი ინსტიტუტების უსაფრთხოების პოლიტიკას.
- უნდა განხორციელდეს ინსტიტუციური პოლიტიკის შესაბამისი შემოწმებები.

6. ***მკვლევარები***. სპეც. კოლექციების ადმინისტრატორმა საგულდაგულოდ უნდა დააბალანსოს მკვლევარებისთვის ხელმისაწვდომ მასალებზე პასუხისმგებლობა და ამ მასალების უსაფრთხოების უზრუნველყოფა. *თითოეულ მკვლევარს, რომელიც იყენებს სპეც. კოლექციის მასალებს, უნდა მოეთხოვოს რეგისტრაცია სახელის, მისამართის, იურიდიული ცნობების და ინსტიტუციური კუთვნილების ჩათვლით. ფიზიკური იდენტობის დასადგენად აუცილებელია ფოტოიდენტიფიკაცია ან იდენტიფიკაციის სხვა ფორმები. რეგისტრაციის ჩანაწერები, ჩანაწერები იმ პროექტების შესახებ, რომლებზეც მკვლევარები მუშაობდნენ, და ჩანაწერები მათ მიერ გამოყენებული კოლექციების შესახებ, უნდა ინახებოდეს მუდმივად, რათა პერსონალს შეეძლოს იმის დადგენა, თუ ვინ გამოიყენა და რა მასალები გამოიყენა, და ეს ცნობები ხელმისაწვდომი გახდეს სამართალდამცავი ორგანოებისთვის, თუ მოგვიანებით ქურდობა ან ვანდალიზმი გამოვლინდება. როგორიც არ უნდა იყოს მათი ფორმა, ჩანაწერები ცალსახად უნდა აკავშირებდნენ კონკრეტულ მკვლევარს კონკრეტულ მასალასთან.*

სპეც. კოლექციების უსაფრთხოების გეგმებში გათვალისწინებული უნდა იყოს კონფიდენციალურობა. შესაბამისად, უნდა შეიზღუდოს რეგისტრაციისა და წიგნადი ფონდის მიმოქცევის ჩანაწერებზე წვდომა. ინსტიტუციური პოლიტიკა, განსაკუთრებით შესაძლო ქურდობათა გამოძიებისას, არ უნდა არღვევდეს კონფიდენციალურობის დაცვის კანონებს. ბიბლიოთეკის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები კარგად უნდა იცნობდნენ ყველა მოქმედ კანონს, რომელიც არეგულირებს პირად მაიდენტიფიცირებელ ინფორმაციას მომხმარებელთა შესახებ.

თითოეული მკვლევარი უნდა იცნობდეს წესებს, რომლებიც არეგულირებენ კოლექციის გამოყენებას. წესები უნდა გამოიკრას თვალსაჩინო ადგილას და ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაწესებულების ვებსაიტებზეც. *მკვლევარებმა წერილობით უნდა დაადასტურონ, რომ დაიცავენ ამ რეგულაციებს.* მათ არ უნდა ჰქონდეთ უფლება, შეიტანონ პირადი ნივთები სამკითხველო დარბაზებში, პორტფელები, გარე ტანსაცმელი, წიგნები და ფურცლების სქელი შეკვრა. ასეთი ნივთებისთვის გათვალისწინებული უნდა იყოს პატარა ჩასაკეტი კარადები, ე.წ. „ლოკერები“ ან რაიმე უსაფრთხო სივრცე.

თანამშრომლები განუწყვეტლივ უნდა აკვირდებოდნენ მკვლევარებს და არ უნდა მისცენ უფლება, იმუშაონ უმეთვალყურეოდ წიგნების კარადის უკან ან სხვა ისეთ ადგილებში, სადაც თანამშრომლები მათ ვერ დაინახავენ. მკვლევარები უნდა შემოიფარგლონ მხოლოდ იმ წიგნებით, ხელნაწერებით ან სხვა ნივთებით, რომლებიც საჭიროა ადგილზე კვლევის შესასრულებლად. თანამშრომლებმა უნდა შეამოწმონ თითოეული წიგნადი ერთეულის მდგომარეობა, შედგენილობა და სისრულე, სანამ გამოსაყენებლად გადასცემენ, ასევე, უნდა შეამოწმონ ისინი მათი უკან დაბრუნების შემდეგ. დაბრუნებული მასალების ეს შემოწმება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საარქივო და ხელნაწერ კოლექციებთან მიმართებაში, რომლებიც ხშირად შედგება აუკინძავი, სიძველისაგან ფშვნადი, უნიკალური ნაწილებისაგან. მკვლევარებს უნდა მოეთხოვოს ყველა მასალის უკან დაბრუნება სამკითხველო ოთახიდან გასვლამდე, მაშინაც კი, თუ ისინი მოგვიანებით კვლევის გასაგრძელებლად გეგმავენ დაბრუნებას. მათ არ უნდა მიეცეთ უფლება, გაცვალონ იგი ან ჰქონდეთ წვდომა ისეთ მასალებზე, რომლებიც სამკითხველო დარბაზში გამოტანილია სხვა მკვლევარისათვის.

- ბიბლიოთეკის უსაფრთხოების ოფიცერმა ან სპეციალური კოლექციების ადმინისტრატორმა უნდა მოიძიოს რჩევა ინსტიტუციის იურიდიული მრჩევლის ან სხვა შესაბამისი იურიდიული ორგანოსაგან, მკვლევარებთან დაკავშირებული პოლიტიკის შემუშავებისას, იმისათვის, რომ უზრუნველყოს ადეკვატური იურიდიული რესურსი, თუ მკვლევარები დაარღვევენ შეთანხმებას სპეციალური კოლექციის მასალების გამოყენების შესახებ.
- დაწესებულებამ უნდა მოითხოვოს, რომ ყველა მკვლევარმა წაიკითხოს და წერილობით დაადასტუროს შეთანხმება ინსტიტუციური პოლიტიკის დაცვის შესახებ.

7. აუდიტორიებში სხდომებისას სპეციალური კოლექციების მასალათა გამოყენება.

უსაფრთხოების პოლიტიკა ეხება სამკითხველო ოთახებსაც. *როდესაც სამკითხველო ოთახებსა თუ აუდიტორიებში სხდომა უნდა ჩატარდეს,* თუ ეს შესაძლებელია, სხდომის მონაწილეებს მის დაწყებამდე უნდა გადაეცეთ უსაფრთხოების გაიდლაინები და ინსტრუქტორები და მონაწილეები უნდა გაეცნონ მათ სხდომის დაწყებამდე. *საცავის პერსონალმა უნდა იცოდეს, თუ ვის ექნება უფლება, სხდომის განმავლობაში სპეციალური კოლექციის მასალები ჰქონდეს ხელთ.*

სამკითხველო ოთახებში სხდომების ჩასატარებლად ყველა მოთხოვნა უნდა განიხილოს და დაამტკიცოს საცავის პერსონალმა. განსახილველი კრიტერიუმები მოიცავს მასალების ტიპსა და მდგომარეობას, მონაწილეთა რაოდენობას, ინსტრუქტორის სპეციალურ კოლექციებთან მუშაობის გამოცდილების დონეს. საცავმა შეიძლება შეზღუდოს სხდომაზე საჩვენებელი მასალის ან მონაწილეთა რაოდენობა, პერსონალის, სივრცის თუ სხვა ფაქტორების საფუძველზე.

საცავმა უნდა მოითხოვოს პერსონალის წევრის ყოფნა აუდიტორიაში, იმ დროის განმავლობაში, როდესაც სპეციალური კოლექციის მასალები გამოიყენება. თანამშრომლებმა არ უნდა დატოვონ მასალები უყურადღებოდ. თუ ეს შესაძლებელია, უნდა დამონტაჟდეს უსაფრთხოების კამერები, რომლებიც მოიცავენ სამკითხველო ოთახს. ყველა ჩანაწერი უნდა შენარჩუნდეს რაც შეიძლება დიდხანს, სასურველია მუდმივად.

თუ ეს შესაძლებელია, სხდომის მონაწილეები უნდა დარეგისტრირდნენ სხდომის წინ, იმავე პროცედურების დაცვით, რაც გამოიყენება სამკითხველო ოთახისათვის. *სხდომათა მონაწილეების სია უნდა იქნას შენახული.* ეს შეიძლება განხორციელდეს ფურცელზე ხელისმოწერებით ან სხდომის წინ მომზადებული სიის საშუალებით. ისეთი საგნები, რომელთა შეტანაც არ არის ნებადართული სამკითხველო დარბაზში, არც აუდიტორიაში დაიშვება.

საცავმა უნდა აწარმოოს აუდიტორიაში გამოყენებული მასალების დაწვრილებითი აღნუსხვა და შეინახოს ეს ინფორმაცია განუსაზღვრელი ვადით. მასალების სია უნდა მომზადდეს სხდომის წინ. ხოლო როდესაც მასალები შეგროვდება, ისინი უნდა შეუდარდეს სიას, იმის დასადასტურებლად, რომ ყველა მათგანი ადგილზეა.

პერსონალმა უნდა დაათვალიეროს მასალები სხდომამდე და სხდომის შემდეგ. უნდა შეიზღუდოს მყიფე/ფშვნადი მასალის შეტანა აუდიტორიაში, ან პერსონალმა სხდომის მონაწილეთა ყურადღება უნდა მიაპყროს ამ ნივთის სიმყიფეს და სხდომის დაწყებისას აჩვენოს გამოყენების სათანადო ტექნიკა. რამდენადაც შესაძლებელია, მასალები უნდა იქნას აღწერილი და აღნიშნული, სანამ ისინი ნაჩვენები იქნება აუდიტორიაში.

- ინსტიტუციებმა უნდა შეიმუშავონ საუდიტორიო სარგებლობის პოლიტიკა, რომელიც მოიცავს სამკითხველო ოთახში მასალათა გამოყენების წესებსა და უსაფრთხოების პრაქტიკას. გათვალისწინებული უნდა იყოს საუდიტორიო გამოყენებისა და პერსონალის მოთხოვნები, ჩანიშნული უნდა იქნას ნებისმიერი შეზღუდვა იმ რაოდენობასთან დაკავშირებით, ან/და კოლექციის მასალების იმ ტიპებზე, რომლებიც შეიძლება მოითხოვონ. განსაზღვრული და ჩანიშნული უნდა იქნას აუდიტორიის დამსწრეთა მაქსიმალური რაოდენობა. საუდიტორიო პოლიტიკა საკმარისად მოქნილი უნდა იყოს იმისთვის, რომ აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელი გახდეს დამატებითი პროფილაქტიკური ზომების მიღება.
- ინსტიტუციებმა თავიანთი პოლიტიკა ხელმისაწვდომი უნდა გახადონ თავის ვებსაიტზე და განიხილონ ისინი მონაწილეებთან ერთად საუდიტორიო სხდომამდე.

8. კოლექციები.

სპეც. კოლექციების ადმინისტრატორებს უნდა შეეძლოთ თავიანთი კოლექციების მასალების იდენტიფიცირება ზარალის დასაზუსტებლად და მოპარული ქონების ამოღების შესახებ მოთხოვნების დასასაბუთებლად. ეს პროცესი მოიცავს მასალების მიღებისას კატალოგებში სათანადო დეტალური ჩანაწერების კეთებას და მათი ჩამონათვალის შენახვას, წიგნადი ერთეულების შესახებ სპეციფიკური ინფორმაციის აღრიცხვას და მათი მდგომარეობის შესახებ ჩანაწერების შენახვას. მასალების იდენტიფიცირება უნდა მოხდეს მარკირებისა და სხვა უნიკალურ ნიშანთა, ფოტო-, ციფრული ან მიკროფირების გამოყენებით.

საჭიროების შემთხვევაში, გადაიტანეთ მასალები, რომლებიც უკავშირდება უკვე მოპარულ ან დაზიანებულ ნივთებს, უფრო უსაფრთხო ადგილზე. წიგნების ან ხელნაწერთა ქურდობა-დაზიანება შეიძლება მიუთითებდეს, რომ სხვა მსგავსი მასალაც ქურდებისა და ვანდალების სამიზნე გახდება.

ბევრი დაწესებულება ინახავს იშვიათ მასალებს ღია სივრცეებში, რომლებიც ხელმისაწვდომია ყველა მომხმარებლისთვის. ასეთი მასალები ყველაზე დაუცველია უსაფრთხოების მხრივ. ინსტიტუციებმა უნდა შეიმუშავონ საზოგადო სივრცეთა რუტინული გადამოწმების პროცედურები, გამოიყენონ „კოლეჯთა და სამეცნიერო ბიბლიოთეკათა ასოციაციის“ / იშვიათ წიგნთა და ხელნაწერთა სექციის“ (ACRL / RBMS, „Association of College and Research Libraries“ / „Rare Books and Manuscripts Section“) გაიდლაინები ძირითად კოლექციებში მასალების შერჩევისა და სპეციალური კოლექციებისათვის გადაცემის შესახებ, ამასთანავე კი ხელი უნდა შეუწყონ ღია თაროებზე განთავსებული იშვიათი მასალების დაცვას.

· უფრო ფასეული მასალები ძირითადი კოლექციიდან უნდა გამოიყოს და გადატანილი იქნას მაღალი უსაფრთხოების სივრცეში, სადაც არის უფრო შეზღუდული პირობები პერსონალის წვდომისა და მკვლევართა გამოყენების თვალსაზრისით.

9. ჩანაწერების შენახვა, აღწერა და კატალოგები.

ა) *აღრიცხეთ კატალოგში ყველა მასალა იმდენად სრულად, რამდენადაც ინსტიტუციური რესურსები და აღწერითი პრაქტიკა მოგცემთ ამის საშუალებას. მოპარული მასალები, რომლებიც დეტალურად არის აღწერილი, ბევრად უფრო ადვილად იდენტიფიცირებადი ხდება.* მასალები, რომლებიც ბოლომდე არ იქნა კატალოგიზირებული ან დამუშავებული, ხელმისაწვდომი უნდა იყოს მკვლევარებისთვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უსაფრთხოების ყველა ზომაა მიღებული (მაგალითად, გამოყენებისას უფრო მკაცრად ხორციელდება ზედამხედველობა, ერთი გამოყენებისას შემცირებულია გამოსაყენებელი ნივთების რაოდენობა, ხოლო ნივთები მარკირებულია).

ბ) წიგნების შემთხვევაში გამოიყენეთ კატალოგის ჩანაწერი, რომ *აღწეროთ მისი სპეციფიკური მახასიათებლები* (მაგ., აკინძვა, წინა მესაკუთრის მითითება, დეფექტები) და ბიბლიოგრაფიული ინფორმაცია, *რაც ხელს შეუწყობს განსხვავების პოვნას გამოცემის სხვა რედაქციებსა და ამავე რედაქციის წიგნების მდგომარეობას შორის. შეინახეთ შესყიდვების სრული ჩანაწერები*, ანტიკვარული წიგნების კატალოგური აღწერების ჩათვლით. *შექმენით ელექტროწაკითხვადი („machine-readable“) ჩანაწერები* ადგილობრივი საზოგადოებისა და საერთაშორისო ბიბლიოგრაფიულ მონაცემთა ბაზებისათვის. *მონაწილეობა მიიღეთ ბიბლიოგრაფიულ პროექტებში, რომლებშიც დეტალური ბიბლიოგრაფიული აღწერები სრულდება.*

გ) *ჩაატარეთ რეგულარული ინვენტარიზაციები როგორც კატალოგში შეტანილი, ისე შეუტანელი წიგნების კოლექციებისა, თუ ეს შესაძლებელია.* ამ დავალებას ყველაზე ეფექტურად ასრულებს *გუნდურად* მომუშავე პერსონალი. იგი უნდა ჩატარდეს *შემთხვევით საფუძველზე*, რადგან სხვა შემთხვევაში, ამან შესაძლოა ქურდებს მისცეს საშუალება, დროებით დააბრუნონ მოპარული მასალები. ასევე მიზანშეწონილია თაროების ჩამონათვალის იმავდროული შედარება კოლექციასთან. ამგვარი ინვენტარიზაციები ღირებულია, რადგან მათ შეუძლიათ გამოავლინონ ქურდობა (ისევე, როგორც შეცდომით სხვა თაროზე დალაგებული წიგნები) და წარმოადგენდნენ შემაკავებელ ფაქტორს ნებისმიერი შესაძლო შიდა ქურდისათვის.

დ) *შეინახეთ თაროებზე განთავსებული მასალის სია, სასურველია ქაღალდის ფორმით სპეც. კოლექციებისთვის, უსაფრთხო ადგილას. თუ თაროების სია ელექტრონულია, ის დაცული უნდა იყოს გაყალბებისაგან და უნდა მოხდეს სარეზერვო ასლის შენახვა საიტისგან დამოუკიდებლად.* ვინაიდან თაროების სია ზუსტად მიუთითებს, თუ სად უნდა იყოს განთავსებული თითოეული წიგნი და შეიცავს სპეციფიკურ ინფორმაციას სპეც. კოლექციების მასალების შესახებ, მისი შენახვა და დაცვა სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ქურდობის გამოსავლენად და ნაქურდალის უკან დაბრუნებისათვის.

ე) *შეინახეთ იმ წიგნების შესახებ ჩანაწერები, რომლებსაც ვერ მიაგენით და პერიოდულად გადაამოწმეთ ისინი*; განაცხადეთ დაკარგული წიგნების შესახებ შესაბამის სააგენტოებში (იხ. II.3.B. ქვემოთ).

ვ) *შეინახეთ ჩამოწერილი წიგნების დეტალური ჩანაწერები.*

10. სამართლებრივი და საპროცესო პასუხისმგებლობები.

სპეციალური კოლექციების ადმინისტრატორებმა და ბიბლიოთეკის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა უნდა იცოდნენ ბიბლიოთეკისა და არქივის ქურდობასთან დაკავშირებული კანონები, ისევე, როგორც დაწესებულების პოლიტიკა ეჭვმიტანილების დაპატიმრების შესახებ, და ეს ინფორმაცია უნდა მიაწოდონ პერსონალს; მათ ასევე დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ ქურდობათა შესახებ შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს. პერსონალის წევრებმა უნდა იცოდნენ თავიანთი უფლებები ქურდობის შეჩერებისას და არ უნდა შელახონ ეჭვმიტანილთა უფლებები.

- ბიბლიოთეკის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა ან/და სპეციალური კოლექციების ადმინისტრატორებმა უნდა აიღონ საკუთარ თავზე აქტიური როლი დაწესებულების სხვა თანამდებობის პირთა, მაგალითად, იურიდიულ დაწესებულებათა თანამშრომლების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ოფიცრების, დირექტორის და სხვათა ინფორმირება სპეციალური კოლექციის მასალების ქურდობის სერიოზულობასთან დაკავშირებით და მოუწოდონ დაწესებულებას, მოაგვაროს უსაფრთხოების საკითხები და მოითხოვოს ყველაზე მკაცრი სასჯელი ქურდობისა ან უსაფრთხოების სხვა დარღვევების გამო მსჯავრდებულთათვის.

11. ინსტიტუციური და საკანონმდებლო დახმარება.

ითანამშრომლეთ და მხარი დაუჭირეთ დაწესებულების ადმინისტრაციას ქურდების სამართლებრივი დევნის თვალსაზრისით. ეს მხარდაჭერა შეიძლება გულისხმობდეს მტკიცებულებების შეგროვებასა და გამომძიებლებისათვის გაზიარებას, ისევე, როგორც უშუალო მონაწილეობას სასამართლო განხილვაში.

ნაწილი II. პასუხი ქურდობაზე

1. სამოქმედო გეგმის ფორმულირება.

ქურდობასთან ბრძოლისას ინსტიტუციური გეგმა უნდა უზრუნველჰყოფდეს სწრაფ და კარგად ორგანიზებულ რეაგირებას. ბიბლ. უსაფრთხოების ოფიცერმა, ადმინისტრატორებთან, საზოგადოებასთან ურთიერთობის, დაცვის პერსონალთან, სამართალდამცავებთან და იურისტებთან ერთად უნდა ჩამოაყალიბოს სამოქმედო კურსი:

- *სამართალდამცავ უწყებებთან სამუშაო ურთიერთობის დამყარება და განსაზღვრა, თუ რომელ უწყებას გააჩნია იურისდიქცია დაწესებულებაზე და როდის უნდა გამოიძახონ ისინი.* დაწესებულებამ უნდა შეინახოს კონტაქტების სია სამართალდამცავთა ყველა დონეზე და თითოეულ მათგანთან განიხილოს სამოქმედო გეგმა. *უშიშროება, საბაჟო ან ინტერპოლი, შეიძლება ჩაერთოს, თუ არსებობს ეჭვი, რომ მოპარული წიგნები შემოაქვთ ან გააქვთ ქვეყნიდან.*
- *შეტყობინების მიწოდება მოპარულ და დაკარგულ წიგნთა მონაცემთა ბაზებისა და სხვა შესაბამისი ქსელებისათვის.*
- *შეტყობინების მიწოდება ადგილობრივი და რეგიონული წიგნების გამავრცელებლებისა და გამყიდველთათვის.*
- *მოწყვლადი / ნაკლებად დაცული ნივთების გადატანა უფრო უსაფრთხო ადგილას.*
- *დაწესებულების რისკების მართვის ოფისთან ან სადაზღვევო ორგანიზაციებთან მუშაობის დაგეგმვა, დაკარგული ან დაზიანებული მასალების შეფასების მიზნით.*
- *პერსონალის გამოკითხვა მომხმარებელთა ან სხვა პირების მხრიდან რაიმე საეჭვო ქცევასთან დაკავშირებით.*
- *სტაფისთვის რეგულარულ შეტყობინებათა მომზადება საქმის მიმდინარეობის შესახებ, გამოძიების წესების შესაბამისად.*
- *დაწესებულების უფლებამოსილ წარმომადგენელთა მიერ ახალი ამბებისა და პასუხების მომზადება მედიის მიერ დასმულ კითხვებზე; პერსონალს უნდა დაევალოს მედიის გადამისამართება უფლებამოსილ წარმომადგენელთან.*
- *საქმის მიმდინარეობის პროცესში განხორციელებულ ქმედებათა შიდა აღნუსხვა, ქურდობის აღმოჩენიდან საბოლოო სასამართლო განხილვამდე.*

2. რეაგირება მიმდინარე ქურდობაზე.

თუ ეჭვები საფუძვლიანია, მოწმეც და ბიბლიოთეკის უსაფრთხოების ოფიცერიც დაუყოვნებლივ უნდა გამოიძახონ და, თუ ეს შესაძლებელია, უნდა ნახონ სუბიექტის ქმედებები, ჩაწერილი უსაფრთხოების კამერით. ამის შემდეგ აუცილებელია დაიცვან ინსტიტუციური პოლიტიკა და მოქმედი სახელმწიფო კანონები მომხდართან დაკავშირებით. ამასთან, თუმცა ზოგიერთი ქმედება, როგორიცაა უსაფრთხოების წარმომადგენელთა ან პოლიციის გამოძახება შეიძლება ლოგიკური იყოს აქ, ეს სინამდვილეში შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს ინსტიტუციურ პოლიტიკას.

- *თუ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ქურდობა მოხდა, ბიბლიოთეკის შესაბამისმა თანამშრომლებმა უნდა მოითხოვონ პოლიციელის მიერ ეჭვმიტანილის დაკავება* (კანონები, რომლებიც ეხება დაპატიმრების საფუძვლებს სხვადასხვა სახელმწიფოში სხვადასხვაა და ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა უნდა იცოდნენ შესაბამისი სახელმწიფო კანონები). *თუ არსებობს ქურდობის დამადასტურებელი საბუთები, მაგალითად, მასალები, დამალული ეჭვმიტანილის პირად ნივთებში („materials hidden on the suspect's person“), არ უნდა მიეცეს თანხმობა ეჭვმიტანილის გათავისუფლებას იმ პირობით, რომ იგი დაბრუნდება, რათა ბრალდებას დაუპირისპირდეს. თუ ოფიცერი არ დააკავებს მას, შეეცადეთ დაარწმუნოთ ოფიცერი, რომ შეაყოვნოს ეჭვმიტანილი, სანამ არ გადაამოწმებს მის ვინაობასა და საცხოვრებელ ადგილს.*

პირველივე შესაძლებლობისას, თითოეულმა პირმა, რომელიც ქურდობას შეესწრო, წერილობით უნდა აღწეროს ეჭვმიტანილის ფიზიკური გარეგნობა და ქურდობის მიმდინარეობა. ეს დოკუმენტი შესაძლოა მოგვიანებით გახდეს საჭირო, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ საქმე გამოძიებას გადაეცემა. ყველა მასალა, რომელიც ეჭვმიტანილმა უკან დააბრუნა, დაუყოვნებლივ უნდა გადამოწმდეს დაკარგვის ან დაზიანების თვალსაზრისით.

3. შემდგომი პასუხი.

ა. მტკიცებულებების შეგროვება.

ბიბლ. უსაფრთხოების ოფიცერმა უნდა აცნობოს ადმინისტრაციის თანამშრომლებს, დაწესებულების უსაფრთხოების პერსონალს, სამართალდამცავი ორგანოების შესაბამის წარმომადგენლებს და შეადგინოს დაკარგული მასალის ჩამონათვალი. ასევე, უნდა გააფრთხილონ სხვა განყოფილებები და ადგილობრივი საცავები. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მთელ კოლექციას დება ინვენტარიზაცია, თუმცა ქვემოთ ჩამოთვლილი დაუყოვნებელი ნაბიჯების გადადგმის შემდეგ, მიზანშეწონილია, რომ ინვენტარიზაცია ჩაუტარდეს მოპარულის მსგავს მასალებს. იმ პერსონალთან კონსულტირებით, რომელსაც ამის შესახებ წინასწარ ეცნობა, *უნდა შეგროვდეს ქურდობის ყველა შესაძლო მტკიცებულება*:

- დაკარგული მასალების დეტალური აღწერა.
- ნებისმიერი შესაბამისი ვიდეოფაილები ან უსაფრთხოების სისტემაში შესასვლელი ელ. კოდები („logs“).
- დაკარგულ მასალასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია (მოთხოვნის ბარათები, ელ. ჩანაწერების ასლები).
- აკრძალულ სივრცეებში უნებართვო დაშვების ნიშნები.
- შეტყობინება კატალოგის ან წიგნების მიმოქცევის რომელიმე ჩანაწერის ფალსიფიკაციის შესახებ.
- შეტყობინება მასალათა სისტემატური დაკარგვის შესახებ.

ბ. შეტყობინების გაგზავნა შესაბამისი ორგანიზაციებისა და სააგენტოებისათვის.

ბიბლიოთეკამ უნდა აცნობოს წიგნების ადგილობრივ გამავრცელებლებს და დაამკვიდროს პროცედურა, რომ საცავში მომხდარ ქურდობათა შესახებ დაუყოვნებლივ აწვდიდეს მათ ინფორმაციას. ქურდები ზოგჯერ ცდილობენ მოპარულის სწრაფად გაყიდვას, და გამყიდველებს, რომლებიც სპეც. კოლექციებს იცნობენ, შეუძლიათ ამოიცნონ ნაქურდალი მასალები, ან დაეჭვდნენ მაინც მათში.

შეიძლება მიზანშეწონილი იყოს აუქციონის გაყიდვათა ჩანაწერების ძებნაც, თუკი არსებობს ეჭვის საფუძველი, რომ მოპარულმა მასალამ გზა ზარს მიაღწია.

გ. დაეხმარეთ გამოძიებას.

მას შემდეგ, რაც დამნაშავე დააპატიმრეს და სასამართლოს გადასცეს, დაწესებულებამ უნდა განსაზღვროს პროკურატურასთან კომუნიკაციის მიმართულება სასამართლო განხილვის მთელი პროცესის განმავლობაში. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ შემთხვევაში, თუ საქმე ეხება საპროცესო შეთანხმებასა და ნაქურდალის უკან დაბრუნებას, რადგან დაწესებულებას შეიძლება დასჭირდეს ანგარიშის წარდგენა ზარალის ანაზღაურების თვალსაზრისით. მიზანშეწონილია, რომ ბიბლიოთეკის წარმომადგენელი იმყოფებოდეს სასამართლო პროცესზე, განსაკუთრებით კი, განაჩენის გამოტანის დროს, როდესაც დაწესებულებას შესაძლოა სურდეს განცხადების გაკეთება. ეს განცხადება უნდა ეხებოდეს დანაშაულის სერიოზულობას, კულტურული ძეგლისათვის ("cultural record") მიყენებულ დაზიანებას და მის გავლენას დაწესებულებასა და მის მომხმარებლებზე. ცნობილია, რომ ამგვარი განცხადებები მოსამართლეებზე გავლენას ახდენს უფრო მკაცრი განაჩენის გამოტანის თვალსაზრისით.

დ. ნაპოვნი მასალის უკან დაბრუნების ორგანიზება.

მოპარული მასალის ამოცნობის შემდეგ საჭიროა დადასტურდეს, რომ ისინი ნამდვილად ამ დაწესებულებას ეკუთვნის; ამ პროცესს გაამარტივებს ჩანაწერების აღრიცხვა (ნაწილი I, 9).

თუ მოპარული მასალა ბაზარზე გაიტანეს და ახალი მფლობელის ხელში აღმოჩნდა, მათი უკან დაბრუნება შეიძლება რთული და შრომატევადი პროცესი გახდეს. ეს განსაკუთრებით რთული იქნება, თუ მასალები უცხო ქვეყანაშია, სადაც მოპარული საქონლის უკან დაბრუნებასთან დაკავშირებით სხვა იურიდიული სისტემა და კანონები მოქმედებენ. სამართალდამცავები და იურისტები შეძლებენ ამ საკითხების შესახებ რჩევების მიწოდებას. თუ გამყიდველმა ან აუქციონის სახლმა გაყიდა მასალა, მასალების უკან დასაბრუნებლად მათი დახმარება იქნება საჭირო.

ზოგ შემთხვევაში ხელისუფლებას შეუძლია მოპარული მასალის ჩამორთმევა, ხშირ შემთხვევაში კი ეს შეუძლებელია.

შესაძლოა, საჭირო გახდეს მოლაპარაკება და მასალის უკან დაბრუნების მიზნით აუცილებელი აღმოჩნდეს კომპენსაციის გადახდა ახალი მესაკუთრისათვის. გარემოებებიდან გამომდინარე, წიგნის გამყიდველს ან აუქციონის სახლს უნდა მოეთხოვოს კომპენსაციის ანაზღაურებაში მონაწილეობის მიღება, თუმცა ამის დაძალება არ შეიძლება.

მოპარული და დაბრუნებული მასალის, და ქურდობის ყველა ასპექტის დეტალური ჩანაწერები მუდმივად უნდა ინახებოდეს.

დანართი I

გაიდლაინი წიგნების, ხელნაწერთა და სხვა სპეციალური მასალების მარკირების შესახებ

I. შესავალი. მარკირების აუცილებლობა.

საზოგადოებაში მრავალი მსჯელობა იყო წიგნების, ხელნაწერთა და სპეციალური კოლექციების სხვა მასალების მარკირების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით. თუ მარკირება არ ხდება, მაშინ უსაფრთხოება ვერ იქნება დაცული. ACRL / RBMS უსაფრთხოების კომიტეტი იძლევა რეკომენდაციას, რომ ბიბლიოთეკებმა და სხვა ინსტიტუციებმა გამოიყენონ მარკირება, როგორც უსაფრთხოების აუცილებელი პროცედურა.

II. ზოგადი რეკომენდაციები.

1. *მარკირების ნიშნები უნდა იყოს ორივენაირი:*

   ა. ადვილად ხილვადი შემთხვევითი დამკვირვებლისთვის;

   ბ. ფარული და რთული შესამჩნევი.

2. იოლად ხილვადი ნიშნები უნდა გაკეთდეს მელნით.

3. ნიშნები, რომლებიც ფარულია და შესამჩნევად რთულია, არასოდეს არ უნდა იყოს მარკირების ერთადერთი ან პირველადი სახე.

4. *ხილვადი ნიშნები უნდა იყოს გაკეთებული ისე, რომ მათი მოშორების შემთხვევაში მნიშვნელოვანი ზიანი მიადგეს მასალის ესთეტიკურ და კომერციულ მნიშვნელობას.*

5. *ნიშნები უნდა იყოს განთავსებული უშუალოდ მასალაზე და არა ისეთ ნაწილზე, საიდანაც შეიძლება მასალის მოშორება.*

6. *ყველა ნიშანმა ცალსახად და ნათლად უნდა მოახდინოს საცავის იდენტიფიცირება.*

III. დისკუსია.

1. *ადვილად ხილვადი მარკირება გამიზნულია პოტენციური ქურდების შესაკავებლად, ფარული კი განკუთვნილია მოპარული მასალის მოსაძიებლად და უკან დასაბრუნებლად.* თუ უნდა იქნას გამოყენებული მხოლოდ ერთი ტიპის ნიშანი, იგი იოლად შესამჩნევი უნდა იყოს.

2. *ხილვადი ნიშნების მოშორება შეუძლებელი უნდა იყოს.* მიუხედავად იმისა, რომ იგი არ არის შესამჩნევი მარკირების ერთადერთი ფორმა, *მელანი* ალბათ საუკეთესო საშუალებაა ამ თვალსაზრისით, ვინაიდან მუდმივია და დიდხანს ინახება.

3. ფარული ნიშნები არასოდეს უნდა იქნას გამოყენებული როგორც მარკირების ერთადერთი ფორმა, რადგან ისინი ვერ ამცნობენ სხვებს, მაგალითად, წიგნების გამყიდველებს, რომ ეს მასალები მოპარულია. *ფარული ნიშნები განსაზღვრულია მხოლოდ ხილული მარკირების დამატებებად.*

4. თვალსაჩინო მარკირების განთავსების საკითხი ბევრი დავის ობიექტია. ზოგ საცავში უფრო შედეგიანი იქნება, მაგალითად, ბეჭდის დასმა სატიტულო გვერდის უკანა მხარეს, თუმცა სხვებმა შეიძლება უარი თქვან ამ ვარიანტზე. ამასთან, მიუხედავად იმისა, თუ სად არის დასმული ხილვადი მარკირება, მისი მოშორება არ უნდა იყოს შესაძლებელი მისი არსებობის აშკარა მტკიცებულების დატოვების გარეშე.

5. *ნებისმიერი ტიპის მარკირება უშუალოდ მასალაზე უნდა განთავსდეს.* მარკირება, რომელიც განთავსებულია მხოლოდ წიგნს გარსშემოხვეულ პორტფოლიოზე, სრულიად უსარგებლო იქნება, თუ მას წიგნს მოაშორებენ, განსაკუთრებით, ეს ეხება ისეთ მასალას, როგორიცაა რუკები და პლაკატების მსგავსი ფურცლები, ცალ მხარეს ნაბეჭდი ტექსტით. მნიშვნელოვანია, რომ მარკირება მოხდეს მანამ, სანამ მას სხვა ნებისმიერი პროცედურა ჩაუტარდება.

6. *მარკირება არ უნდა იყოს ზოგადი* (მაგალითად, "იშვიათი წიგნების დარბაზი", "სპეციალური კოლექციები", "უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა" და ა.შ.), არამედ უფრო დაზუსტებით უნდა მიუთითებდეს დაწესებულებასა და საცავს, რომელიც ამ მასალის მესაკუთრეა. მიზანშეწონილია, რომ *ხილვადი მარკირება შეიცავდეს ინსტიტუციის საიდენტიფიკაციო სიმბოლოს.*

IV. სხვა მოსაზრებები.

1. *არ არის აუცილებელი, ფარული ნიშნები მარკირებას წარმოადგენდეს. მათ უბრალოდ უნდა მიუთითონ საკუთრების დამადასტურებელი ნიშნები და მათი პოვნა ძალიან რთული ან შეუძლებელი უნდა იყოს. ასე მაგალითად, მიკროემბოსერები (ამოსატვირფი მანქანები) ახდენენ ისეთ მარკირებას, რომლის ამოცნობაც რთულია. ასევე, თანამედროვე ტექნოლოგიები იძლევიან არაინვაზიური მარკირების საშუალებას, როგორიცაა მაგალითად, მიკროფოტოგრაფია, რომელიც ნივთზე არ ტოვებს რაიმე ნიშანს, მაგრამ კარგ საიდენტიფიკაციო საშუალებას წარმოადგენს. ამ მიზნით შეიძლება გამოყენებული იქნას სხვა შესაბამისი ტექნოლოგიებიც, როგორიცაა მიკროტაგენტები („Microtaggants"), მიკროსკოპული ნაწილაკები, რომლებიც გამოიყენება პროდუქციის იდენტიფიკაციისთვის. ამასთანავე, აუცილებელია, რომ, თუ ასეთი ნიშნები გამოიყენება, საცავში ინახებოდეს ამგვარი მარკირების ზუსტი ჩანაწერები, რათა საჭიროების შემთხვევაში მათი იდენტიფიკაცია იოლად მოხერხდეს.* საიდუმლო მარკირების სისტემები, როგორიცაა, მაგალითად, ყველა წიგნის მე-13 გვერდზე სიტყვის ხაზგასმა, არ უნდა იქნას გამოყენებული მარკირების ერთადერთ საშუალებად.

2. *საცავებმა მასალას არასოდეს უნდა მოაშორონ მარკირება, თუნდაც ჩამოწერის შემთხვევაში. მიზანშეწონილია, მათზე განთავსდეს ბეჭედი ან მითითება, რომ ისინი ჩამოწერილია, მაგრამ წინა საკუთრების ნიშნების მოშორების გარეშე.*

3. *მარკირება უნდა გაუკეთდეს ყველა წიგნად ერთეულს, როდესაც ისინი კოლექციაში მიიღება. სახიფათოა არამარკირებულ ერთეულთა საცავში ან საკატალოგო აღრიცხვისათვის გაგზავნა, სადაც ისინი შეიძლება დარჩნენ წლების განმავლობაში, იმის მიუთითებლად, რომ ისინი საცავის საკუთრებას წარმოადგენენ.* თუნდაც რომ ზოგი მასალა უკიდურესად რთული იყოს მარკირებისათვის, ეს პროცესი არასოდეს უნდა გადაიდოს. მიზანშეწონილია, შეიქმნას პროგრამები კოლექციებში უკვე არსებული მასალების რეტროსპექტული მარკირების მიზნით.

4. *აუცილებელია, რომ წიგნთან ერთად მარკირებული იქნას მისი ყველა ისეთი ნაწილიც, რომლის მოშორებაც შესაძლებელია, როგორიცაა რუკა, გეგმა ან რომელიმე სხვა ამგვარი ელემენტი.*

დანართი II

კანონმდებლობის პროექტი:
ბიბლიოთეკის მასალათა ქურდობა და დაზიანება

მოცემული კანონმდებლობის პროექტი შეიძლება შეიცვალოს სახელმწიფო კანონმდებლობის შესაბამისად, თუმცა, განმარტებათა ფორმულირება უნდა იქნას დაცული, ვინაიდან ისინი შემუშავებული იქნა იურისტების დახმარებით.

მიზნის დეკლარაცია

ბიბლიოთეკათა გაქურდვისა და ბიბლიოთეკის მასალების დაზიანების შემთხვევათა ზრდის გამო, ბიბლიოთეკები განიცდიან წიგნებისა და სხვა საკუთრების სერიოზულ დანაკარგებს. *იმისათვის, რომ საკვლევი მასალები ხელმისაწვდომი იყოს საზოგადოებისათვის, სახელმწიფოს პოლიტიკას უნდა წარმოადგენდეს ბიბლიოთეკებისა და მათი თანამშრომლების უზრუნველყოფა სამართლებრივი დაცვითა და მათი კოლექციების უსაფრთხოებით. ასევე, სახელმწიფოს პოლიტიკას უნდა წარმოადგენდეს იმის დადასტურებაც, რომ ბიბლიოთეკის საკუთრების მიმართ ჩადენილ დანაშაულთა გამო სამართლებრივი დევნა ხორციელდება ისეთივე გულმოდგინებით, როგორც საკუთრების სხვა ფორმათა მიმართ ჩადენილ დანაშაულთა გამო.* კანონი, რომელიც ეხება მოპარულ საკუთრებას, შექმნილია არა მხოლოდ დამნაშავეთა დასაპატიმრებლად და დასასჯელად, არამედ ქურდობის აღსაკვეთადაც.

ტერმინების განმარტება.

„ბიბლიოთეკა“ ნიშნავს საჯარო, საგანმანათლებლო, საქველმოქმედო, ისტორიულ, ორგანიზაციის ან რომელიმე საზოგადოების ნებისმიერ ბიბლიოთეკას, მუზეუმს, საჯარო ან ინსტიტუციური ჩანაწერების ნებისმიერ საცავს.

„საკუთრება“ ნიშნავს ნებისმიერ წიგნს, ფირფიტას (“plate”), სურათს, ფოტოსურათს, ნაბეჭდს (“print”), ფერწერას, ნახატს, რუკას, გაზეთს, ჟურნალს, პამფლეტს, პლაკატს, ხელნაწერს, დოკუმენტს, წერილს, საჯარო ჩანაწერს („public record“), მიკროფორმას, ხმის ჩანაწერს, ნებისმიერი ფორმატის აუდიოვიზუალურ მასალას, მაგნიტურ ან სხვა ჩანაწერს, კატალოგის ბარათს ან კატალოგის ჩანაწერს, მონაცემთა დამუშავების ელექტრონულ ჩანაწერს, არტეფაქტs, ან სხვა დოკუმენტურ, წერილობით ან ნაბეჭდ მასალას ან მოწყობილობას, მიუხედავად ფიზიკური ფორმისა და მახასიათებლებისა, რომლებიც იმყოფებიან ბიბლიოთეკის მეთვალყურეობის ქვეშ.

შემოთავაზებული ფორმულირებები.

ნაწილი I.a.

ნებისმიერი ადამიანი, ვინც შეგნებულად, ან უნებლიედ წაიწერს, დააზიანებს, ამოჭრის, ამოხევს ან გაანადგურებს რომელიმე წიგნს, დოკუმენტს, ან ბიბლიოთეკის სხვა საკუთრებას, არის დამნაშავე.

ნაწილი I.b.

წიგნის ან ბიბლიოთეკის სხვა საკუთრების მიზანმიმართული დამალვა საკუთარ ან სხვის ნივთებში, ჩაითვლება დანაშაულის ჩადენის განზრახულობის პირველი რიგის მტკიცებულებად.

ნაწილი I.c.

წიგნის ან ბიბლიოთეკის სხვა მასალის შეგნებული წაღება (“removal”) ბიბლიოთეკის წესების დარღვევით, ჩაითვლება დანაშაულის ჩადენის განზრახულობის პირველი რიგის მტკიცებულებად.

ნაწილი I.d.

მიზანმიმართული შეცვლა ან განადგურება ბიბლიოთეკის საკუთრების მიმანიშნებელი ჩანაწერების, ელექტრონული ან საკატალოგე ჩანაწერების, რომლებიც მოცემულია ცალკე ან უშუალოდ წიგნზე ან ბიბლიოთეკის სხვა საკუთრებაზე, ჩაითვლება დანაშაულის ჩადენის განზრახულობის პირველი რიგის მტკიცებულებად.

ნაწილი II.a.

ბიბლიოთეკის თანამშრომელს, რომელსაც აქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ პირმა ჩაიდინა, იდენდა, ან ცდილობდა I ნაწილში აღწერილი მოქმედებების ჩადენას, შეუძლია დააკავოს ეჭვმიტანილი. ბიბლიოთეკის თანამშრომელმა მას დაკავებისთანავე უნდა წარუდგინოს საკუთარი თავი, დაუსახელოს თავისი მოქმედების მიზეზი და გამოიძახოს წესრიგის დამცველი. დაკავება უნდა განხორციელდეს არაგონივრული მოქმედებისა ან ძალის გადამეტების გარეშე და უნდა მოხდეს ბიბლიოთეკის იმ ტერიტორიაზე, რომელზეც მოხდა სავარაუდო დანაშაული. ბიბლიოთეკის ტერიტორიაში შედის შენობა, ნაგებობა ან სხვა ნაწილი, რომელზეც ბიბლიოთეკაა განთავსებული; *ნებისმიერ პირს, რომელიც დაკავებულია ბიბლიოთეკის თანამშრომლის მიერ, დაუყოვნებლივ უნდა მოეთხოვოს საკუთარი ვინაობის დასახელება და მისამართის მითითება. დაკავების შემდეგ, ეჭვმიტანილს არ მოეთხოვება რაიმე სხვა ინფორმაციის მიწოდება, ეჭვმიტანილისგან არ მიიღება რაიმე წერილობითი ან/და ხელმოწერილი განცხადება მანამ, სანამ პოლიციელი მას არ დააპატიმრებს. ამასთანავე, ბიბლიოთეკის თანამშრომელს შეუძლია შეამოწმოს ის საკუთრება, რომლის მიმართაც აქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ იგი უკანონოდ იქნა აღებული (I.b, I.c), ან დაზიანდა ან განადგურებულია (I.a, I.d). თუ ეჭვმიტანილი უარს იტყვის ნივთის შესამოწმებლად მოცემაზე, დასაშვებია მხოლოდ მისი პაკეტების, ჩანთების ან სხვა საკუთრების ჩხრეკა, რომლებიც დაკავებული პირის უშუალო ქონებას წარმოადგენს; ეჭვმიტანილის პირადი გაჩხრეკა ან ტანსაცმლის ჩხრეკა დაუშვებელია.*

ელექტრონული სათვალთვალო მოწყობილობის გააქტიურება, როგორც ნიშანი იმისა, რომ პირი გადის შენობიდან ან ბიბლიოთეკის ტერიტორიიდან, სადაც განთავსებულია ელექტრონული სათვალთვალო მოწყობილობა, შეიძლება გახდეს ბიბლიოთეკის თანამშრომლის მიერ ამგვარი პირის დაკავების სავარაუდო მიზეზი, რაიმე სპეციალურად მარკირებული წიგნის ან ბიბლიოთეკის საკუთრებაში არსებული სხვა ნივთების ამოღების მიზნით, იმ პირობით, რომ ასეთი ადამიანი უნდა იქნას დაკავებული მხოლოდ გონივრულად და მხოლოდ იმ დროით, რამდენიც აუცილებელია მოწყობილობის გააქტიურებასთან დაკავშირებული გარემოებების გამოსაძიებლად.

ნაწილი II.ბ.

ეჭვისთვის "გონივრული საფუძველი" შეიძლება გახდეს ის, რომ პირმა დამალა ან დააზიანა წიგნი ან ბიბლიოთეკის სხვა საკუთრება ბიბლიოთეკის შენობაში ყოფნისას ან რომ არ დააბრუნა ბიბლიოთეკის მასალა, რომლის შესახებაც არსებობს დამადასტურებელი საბუთი, რომ პირმა გამოიყენა, მაგრამ არ დაუბრუნებია იგი ბიბლიოთეკისათვის.

ნაწილი II.c.

იმ პირის დაკავებისას, რომლის მიმართაც ბიბლიოთეკის თანამშრომელს აქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ მან ჩაიდინა, იდენდა, ან ცდილობდა ჩაედინა რომელიმე დანაშაული (რომელიც განსაზღვრულია I ნაწილში), აღნიშნულმა თანამშრომელმა შეიძლება გამოიყენოს ძალა გონივრულ ფარგლებში, მხოლოდ როდესაც ასეთი ძალა აუცილებელია თანამშრომლის დასაცავად ან დაკავებული პირის გაქცევის შესაფერხებლად ან ბიბლიოთეკის საკუთრების დაკარგვის თავიდან ასაცილებლად.

ნაწილი III.

ბიბლიოთეკის თანამშრომელს, რომელიც აჩერებს, აკავებს ან/და იწვევს პირის დაპატიმრებას II ნაწილის შესაბამისად, არ ეკისრება პასუხისმგებლობა ცრუ დაპატიმრების, უკანონო დაკავების, თავდასხმის, ცემის, ცილისწამების, დევნის, ან პირის სამოქალაქო უფლებების შეჩერების გამო, იმ პირობით, რომ ბიბლიოთეკის თანამშრომელს ჰქონდა პირის შეჩერების, დაკავების ან დაპატიმრების მიზეზი, საფუძვლიანი ეჭვი, რომ პირმა ჩაიდინა, იდენდა, ან ცდილობდა ჩაედინა რომელიმე დანაშაული, რომელიც მოცემულია I ნაწილში.

ნაწილი IV.

I ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულით, დაზიანებული ქონების საბაზრო ღირებულება განსაზღვრავს დანაშაულის კატეგორიას: 500 აშშ დოლარზე ნაკლები ღირებულება წარმოადგენს ნაკლებად მძიმე დანაშაულს; 500-დან 5000 აშშ დოლარამდე - I კლასის დანაშაულს; 5000 აშშ დოლარზე მეტი კი - II კლასის დანაშაულს. ერთ საბრალდებო დასკვნაში იწერება მთელი (დაზიანებული, მოპარული) საკუთრების საერთო ღირებულება.

ნაწილი V.

ამ დადგენილების ასლი უნდა განთავსდეს და გამოიფინოს ყველა ბიბლიოთეკაში.

ნაწილი VI.

ეს დადგენილება ძალაში შედის მისი მიღების შემდეგ.

ბიბლიოგრაფია

1. ეროვნული ბიბლიოთეკიდან უნიკალური წიგნების მოპარვის ბრალდების ერთი პირი დააკავს. News.On.ge. 15.12.2016.

   იხ. on.ge/story/6161-ეროვნული-ბიბლიოთეკიდან-უნიკალური-წიგნების-მოპარვის-ბრალდების-ერთი-პირი-დააკავს.

2. ქევანიშვილი, ეკა. *უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის გაქურდვის ამბავი ხელახლა გახმაურდა*. რადიო თავისუფლება. 03.08.2010. იხ. https://www.radiotavisupleba.ge/a/2117253.html

3. *ACRL/RBMS Guidelines Regarding Security and Theft in Special Collections*. 2019. იხ.

http://www.ala.org/acrl/standards/security_theft?fbclid=IwAR099U1CtQ1kI2LlQMwjbUXV34Vr95eGZw5OXYExX6mW8MkQzI9pOx-F8Yw

4. *Ancient libraries*. Ed. Jason König, Katerina Oikonomopoulou, Greg Woolf. Cambridge, United Kingdom: Cambridge University Press, 2013. https://books.google.ge/books?id=IawMdyHJxNIC&pg=PA37&lpg=PA37&dq=how+were+protected+ancient+libraries&source=bl&ots=oZW4x6fi9w&sig=ACfU3U2wPqw3aPYM8o9VWyRPXvsdYBKxVg&hl=ka&sa=X&ved=2ahUKEwjm5IzO1YTqAhVwwMQBHTAQCYAQ6AEwDXoECAoQAQ#v=onepage&q=how%20were%20protected%20ancient%20libraries&f=false

5. Bond, Sarah. *Creating A Public Space: Open Access, Book Theft, and the Epigraphy of Ancient Libraries*. Ann Arbor: University of Michigan Press, 2016.

https://sarahemilybond.com/2016/02/26/creating-a-public-space-open-access-book-theft-and-the-epigraphy-of-ancient-libraries/

6. Dheeraj Jain. Why It is Worth to Know About These Ancient Libraries? 29.05.2020. იხ. https://tathastuu.com/2020/05/why-it-is-worth-to-know-about-these-ancient-libraries.html?fbclid=IwAR2z7WRIwc1MsY6VrgjQoc-aE0rtNu-tY1roR9H4h8UjCuoDD4Qd0CT4whw

7. Griffiths, R., & Krol, A. (2009). „Insider theft: Reviews and recommendations from the archive and library professional literature“. *Library & Archival Security* 22 (1), 5-18.

8. Houston, G.W. *Inside Roman libraries: book collections and their management in antiquity*. Chapel Hill: The University of North Carolina Press, 2014.

9. Laskow, Sarah. *Protect your library the Medieval way, with horrifying book curses*. 09.11.2016. ob. https://www.atlasobscura.com/articles/protect-your-library-the-medieval-way-with-horrifying-book-curses

10. List of libraries in the ancient world. ob. https://en.wikipedia.org/wiki/List_of_libraries_in_the_ancient_world

11. Ramesses II, ob. "Getting the builders in", https://www.pbs.org/empires/egypt/newkingdom/ramesses.html.

12. Scott, Sarah H. The Problem of Theft in Libraries and Strategies for Prevention and Response. San José State University. ob. http://e-portfolio.sarahscottmlis.com/uploads/9/1/4/2/9142186/scott.pdf

13. Щербинина, Юлия. *Укради эту книгу. Краткая история книгокрадства*. ob. https://gorky.media/context/ukradi-etu-knigu/